სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/35

ქ. თბილისი 11 მარტი 2024 წ.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის უმაღლესი ჯილდოს - „გიორგი ნიკოლაძის მედლის“ ნიმუშისა და დაჯილდოების წესის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად და აკადემიური საბჭოს 2024 წლის 11 მარტის №01-05-02/09 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დამტკიცდეს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის უმაღლესი ჯილდოს - „გიორგი ნიკოლაძის მედლით“ დაჯილდოების წესი და პირობები“ (დანართი №1).
2. დამტკიცდეს „გიორგი ნიკოლაძის მედლის“ ჯილდოზე წარდგენის თანდართული ფორმა (დანართი №2).
3. დამტკიცდეს „გიორგი ნიკოლაძის მედლის“ ნიმუში და მოწმობის ფორმა (დანართი 3).
4. დადგენილება დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს).
5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**